

# სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები მდინარე ბიდარას აუზში

აკაკი ხორავა

ელ-ფოსტა: [akaki.khorava544@ens.tsu.edu.ge](mailto:akaki.khorava544@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

უკანასკნელ წლებში, კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია ბუნების სტიქიური პროცესებით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა მთელს ჩვენს პლანეტაზე და მათ შორის საქართველოშიც. ხშირია ადამინთა მსხვერპლი, მატერიალური ზარალი კი მილიონობით დოლარს შეადგენს.

სტიქიური პროცესების მრავალმხრივობით, მასშტაბურობით, დროში განმეორებადობით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საინჟინრო ობიექტებისადმი მიყენებული უარყოფითი შედეგებით, საქართველოს ტერიტორია მთიან მხარეთა ურთულეს რეგიონს განეკუთვნება.

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება ხელს უწყობს ზოგადი ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების გამწვავებას და სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათის მოვლენების ფორმირებას, ხშირია წყალდიდობა-წყალმოვარდნები, გვალვები, თოვლის ზვავები, სეტყვა, ძლიერი ქარები და სხვა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ისეთ სტიქიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენაზე, როგორცაა ზვავი, განხილულია მისი მაფორმირებელი ფაქტორები და დინამიური მახასიათებლები. ვინაიდან მაღალი ქანობი განაპირობებს მძლავრი ზვავების ჩამოსვლას, მაგალითისათვის შერჩეულ იქნა მდინარე ბიდარას აუზი, ცნობილი როგორც „ზვავების ლაბორატორია“.

ზვავსაშიშროება მდინარე ბიდარას აუზში დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან ამ ვიწრო ხეობაში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის მონაკვეთი, რომელსაც უდიდესი გამოყენება გააჩნია წლის ნებისმიერ დროს, შესაბამისად კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს ზვავსაშიშროება და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები.